ცნობის ფურცელი

№ 1859 | კვირა, 7 ივლისი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1859

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვაჩნაძის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-48 №-რი

ყოველ-დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 3 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები – მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინამგილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274. (წლ.)

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდ-ე მიიღებს აგრეთვე საქმეს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ.

ახალი წიგნი

„ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა“

თარგმნილი და გამოცემული ნატალია გიგაურის მიერ

ფასი 50 კაპეიკი.

იყიდება ქუთაისში, თვით გამომცემელთან, ტფილისის და ქუთაისის წიგნების გა, მომცემელ საზოგადოების მაღაზიებში და-დ. სურამის წიგნთ-საცავში. (3—2)

ცხინვალში

კბილის ექიმი

სატინიკა გრიგორის ასული

შარმაზანოვი

მიიღებს 3 ივლისიდან კბილით ავადმყოფებს. (2—2)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

იმიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდის, საღამოთი 7—8 საათ. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ.)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები

ა. კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ეკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—1)

მთავრობის განკარგულება

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება ტფილისისათვის:

იარაღით ვაჭრობის შესახებ.

მუხლი 1-ლი. გუბერნატორის ნება-დაურთველად (წერილობით) არავის უფლება არა აქვს ივაჭროს თოფებითა, დამბაჩებითა, რევოლვერებითა და ტყვია-წამლით.

მუხლი მე-2. ისინი, ვინც ამ იარაღითა და ტყვია-წამლით ივაჭრებენ, ვალდებულნი არიან იქონიონ დაწესებულ ფორმის განსაკუთრებული წიგნები, სადაც უნდა აღნიშნონ რაც იარაღი და ტყვია-წამალი აქვთ, აღინიშნოს აგრეთვე როდის ვის რა მიჰყიდა, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლში დასახელებულ იარაღის შესახებ უნდა აღნიშნოს აგრეთვე, რა მოწმობის ძალით გაჰყიდა იარაღი ან ტყვია-წამალი. წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარედგინოს პოლიციას.

მუხლი მე-3. ეგრედ წოდებულ „ნარეზნი“ თოფები და რევოლვერები და აგრეთვე იმათთვის საჭირო ტყვია-წამალი შეიძლება მიეყიდოს იმათ, ვინც გუბერნატორისაგან ნება-რთვას წარადგენენ, ამასთან იმდენი, რამდენიც ნება-რთვის მოწმობაშია აღნიშნული. ეს მოწმობები, როგორც გასამართლებელი საბუთები, ვაჭრებმა უნდა შეინახონ.

მუხლი მე-4. ეს სავალდებულო დადგენი-

იარაღის ტარების შესახებ.

მუხლი მე-5. აკრძალულია ქალაქში იარაღის ტარება: თოფისა, რევოლვერისა, დამბაჩისა, ხმლისა, ხანჯლისა, ფინურ დანისა, კასტეტისა, ბებუთისა და ისეთის ჯოხისა, რომელშიაც ჯანაა. პატივ სადებ მიზეზისა გამო შეიძლება იარაღის ტარება, მაგრამ უეჭველად გუბერნატორისაგან წერილობით ნება-რთვა უნდა იქმნას აღებული. შუამდგომლობა ამ ნებართვის შესახებ პოლიცმეისტერის საშუალებით წარედგინება ტფილისის გუბერნატორს. ეს მოწმობანი პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარედგინოს ხოლმე პოლიციას.

მუხლი მე-6. ამ წესებს არ ემორჩილებიან სამხედრო კაცნი და სამოქალაქო წოდების მოხელენი, რომელთაც იარაღის ტარების ნება აქვთ.

პასუხის მგებლობა ამ სავალდებულო დადგენილებათა შეუსრულებლობის გამო.

მუხლი მე-7. თუ ისინი, ვისაც ეს სავალდებულო დადგენილებანი შეეხება, დაარღვევენ წესებს, პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი იმ სასჯელთა მე-29, 117, და 118 მუხლების ძალით, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლე ადებს.

ვადა ამ დადგენილებათა ძალაში შესვლისა.

მუხლი მე-8. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შევა 1902 წლის 10 აგვისტოდან.

ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი **სვეჩინი**

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ახლანდელმა სამინისტრომ ჯერ-ჯერობით კლერიკალებთან ბრძოლაში გამოიჩინა თავისი დემოკრატიული მიმართულება. კლერიკალისმს საფრანგეთში თავისი ისტორია აქვს. თუ როგორც პოლიტიკური პარტია იგი შედარებით გვიან გამოვიდა საისტორიო ასპარეზზე, სამაგიეროდ, როგორც რეაქციონური ძალა და გონების დამხშავი ელემენტი, იგი დიდი ხანია არსებობს სასულიერო წოდების სახით. დროსა შესაფერად კლერიკალისმი სხვა-და-სხვა იარაღს და საშუალებას ხმარობდა და ინკვიზიციის და ცეცხლის შემდეგ „განათლების საქმეს“ მიჰყო ხელი. პარიზში, სორბონის უნივერსიტეტის ახლო ამართულია მშვენიერი ძეგლი ეტიენ დოლესი, რომელიც დოგმის და თავისუფალ აზროვნების მტრებმა ცეცხლზე დასწვეს. ყოველ წლივ იმართება ხოლმე ამ ძეგლის წინ მანიფესტაცია და ისინი, ვინც პატივს სცემენ ყოველ გმირს, რომელსაც დატყვევებულ აზრისა და გონების განთავისუფლებისთვის უბრძოლია ან დღეს იბრძვის, გვირგვინებით შეამკობენ ხოლმე. იეზუიტების მიერ წამებულის ძეგლს. თავისუფალ აზრისა და დოგმის შორის ბრძოლა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ დღეს კლერიკალისმი პოლიტიკური ძალაა და რადგან დღევანდელი საზოგადოებრივი წესწყობილება მას ხელს უმართავს, ამიტომ ბრძოლაც დაუსრულებელი გამოდის. მაგრამ დღევანდელივე საზოგადოების პირობებშია კლერიკალისმის წინაამდეგი იარაღი,—მეცნიერება და განათლება. თავისუფალი აზრი და დემოკრატიული მიმართულება, ორი ელემენტი, რომელნიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში თან-და-თან ვითარდებიან,—აი რა დასძლევს კლერიკალისმის დოგმას და მის არისტოკრატიზმს. ფრანგები ტყუილად არ ამბობენ: la raison finit par avoir raison. მართალია, დიდ მოხერხებას იჩენენ, ბევრი წარჩინებული დამცველი ჰყავთ კონგრეგაციებს დღევანდელ პარლამენტში, მაგრამ უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს საე-

ნი. კომბმა დაავალა პრეფექტებს, აცნობეთ იმ სასულიერო კონგრეგაციებს, რომელთაც საფრანგეთში დამკვიდრების ნებართვა არ აუღიათ მთავრობისაგან, რომ ერთი კვირის განმავლობაში თავისი საქმეები გაათავონ და დაიშალონო. ეს ვადა რომ გაივლის, თითონ პრეფექტებმა უნდა დაკეტონ კონგრეგაციების დაწესებულებანი, რომელთა რიცხვი ორი ათასამდე ადიოდა. პარლამენტში ამას წინად დეპუტატი კოშენი შეეკითხა მთავრობას, რად დახურეთ სასულიერო ძმობათა სკოლებიო. მართლაც, მთავრობის განკარგულებით 133 სკოლა დაეხურათ, რომელნიც თურმე კანონის წინაამდეგ დაეარსებინათ. სკოლების დაკეტვა სრულიად მშვიდობიანათ მოხდა, მხოლოდ ორ-სამ სოფელში მთავრობის წარმომადგენლებმა ძალით გამოიყვანეს სკოლების პატრონი მონაზვნები. ერთგან კიდევ ერთი სოფლის მღვდელი თურმე გაწვა იატაკზე შუა-გულ ოთახში და არ იძროდა; მოხელეებმა ციმციმით გამოიტანეს გარეთ. ამ გვარი ქცევით მათ სურთ ხალხის სიბრალული და სიყვარული დაიმსახურონ და დევნილების გვირგვინი დაიდგან. კოშენის სიტყვაში ერთი ის იყო მართალი, რომ სახელმწიფო სკოლები ცოტაა და მოთხოვნილება კი დიდია. ღარიბ ხალხს ეს სკოლები ბევრსა შველიან და მათი დახურვა ძალიან სავნებელია მუშა ხალხისთვისაო. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ხრიკია კლერიკალების მხრივ. მათ მართლა ბავშვების გასანათლებლად კი არა, მათი გონების დასაჩლუნგებლად უნდათ თავისი სკოლები. ამ სკოლებიდან გამოდის მომავალი ამომრჩეველი, მათი მომხრე სალდათი, მოხელე და სხ.. პარიზი 30 მილიონ ფრანკსა ხარჯავს წელიწადში თავის სკოლებზე, მაგრამ 6.000 ბავშვი, ქალი და ვაჟი, სკოლებში ადგილს ვერა შოულობს. პროვინციაში 1.600.000 ბავშვი თურმე სწავლობს სასულიერო სკოლებში! რა დაემართებათ ამ ბავშვებს, როდესაც სკოლები დაიხურებაო?—კითხულობს კოშენი. პასუხი ერთად-ერთია და ჟორესიც ამ პასუხს აძლევს თავის გაზეთში: „აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს დახურულ სასულიერო სკოლების ალაგას საერო სკოლები. ბერების და მონაზონთა სკოლების დაკეტვა არა კმარა, იქ უნდა საერო მასწავლებლები ჩავაყენოთ. იგივე ითქმის საავადმყოფოებზე და თავშესაფარ სახლებზე. თუ არაფერს არ შევქმნით კონგრეგაციების დაწესებულებათა სამაგიეროდ, ფილანტროპია აუცილებლად გახდება მათი დამცველი. მართალია, სახელმწიფოს და საზოგადოებას ახალი ტვირთი დააწვება, მაგრამ ამისი არ უნდა გვეშინოდეს. საზოგადოება თავს ვერ დაიხსნის ეკკლესიისაგან, თუ მან ვერ მიაღწია ადამიანობის მაღალ იდეალს. რესპუბლიკა შიშით აღნიშნავს, რომ ამ მხრივ მას ძალიან დიდი შრომა მოელის, მაგრამ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ერთი კეთილ-მყოფელი ნაყოფი გადაჭარბებულ კლერიკალისმთან ბრძოლისა სწორედ ის ფაქტი იქნება, რომ ეს ბრძოლა საზოგადოებას შეაგნებინებს მთელ სიღრმე-სიგანეს მის წინ დაყენებულ კითხვებისას. პარლამენტის უმეტესობას, ცხადია, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეკკლესიასთან ბრძოლა. მაგრამ იგი მზად უნდა იყოს, იმავე თავდადებით ებრძოლოს უმეცრებას, სიღარიბეს, უსამართლობას.“

კოშენს პასუხი მისცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კომბმა მან საფუძვლიანად განიხილა კითხვა იურიდიული მხრივ, დასთქვა, რომ სკოლების დაკეტვა სრულიად კანონიერი იყო. კომბმა გაიხსენა, რომ უკანასკნელ 15—20 წელიწადში კონგრეგაციების რიცხვმა მეტად იმატა და რადგან დღემდე ქვეყნის მართვა ოპპორტიუნისტების ხელში იყო, რომელნიც არავითარ ყურადღე-

ბას არ აქცევდნენ გლეხების და მუშების ინტერესებს და არ ზრუნავდნენ მათ განათლებაზე, ამიტომ კონგრეგაციებმა დიდი გავლენა მოიპოვესო. კომბმა მოაგონა პალატას, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვალდეკ-რუსსოს განკარგულებით შეკრებილმა სტატისტიკურმა ცნობებმა კონგრეგაციების ქონების შესახებ, და გამოაცხადა, რომ კანონით ალჭურვილნი, ჩვენ შევმუსრავთ კონგრეგაციების ყოველ დაბრკოლებას და სრულს გამარჯვებას მივანიჭებთ საერო საზოგადოებასო. უკანონო სკოლების დახურვა ჩვენი პირველი ნაბიჯი იყო და მას მალე თან სხვაც მოჰყვებაო. პარლამენტის უმრავლესობა ალტაცებით მიეგება კომბის სიტყვას და გადასწყვიტა მთელ საფრანგეთში გააკრას იგი. ეს ჩვეულებაა პარლამენტში: თუ რომელიმე სიტყვა მოეწონათ, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს, მაშინვე კენჭს უყრიან, გამოვაცხადოთ ეს სიტყვა მთელ საფრანგეთშიო, და მეორე დღეს 36.000 კომუნის (სასოფლო საზოგადოება) სამმართველოს კარებზე გააკრავენ დაბეჭდილ აფიშებს, რომ მთელმა ხალხმა იცოდეს, რა გზას ადგანან მისი წარმომადგენლები.

კომენის შემდეგ გამოცდილმა და გაიძვერა რიბომ ილაპარაკა კონგრეგაციების დასაცავად. იმან სხვა მხრივ შეხედა საქმეს და სცდილობდა დაემყარებინა ეგრეთ წოდებული „სწავლის თავისუფლების“ პრინციპი. მაგრამ ამ ჰანგზე იგი დიდი ხანია ჰგალობს და თითქმის თავი მოაწყინა პარლამენტს. ეს არის კლერიკალების წესი: როცა მათთვის სჯობია, მაშინ „თავისუფლებას“ ამოეფარებიან ხოლმე. მაგრამ „თავისუფლება სწავლისა“ ახლანდელ პირობებში ნიშნავს კლერიკალისმის სრულს გაბატონებას და მომავალში რესპუბლიკის ყელის გამოჭრას.

საინტერესოა ისიც, რომ კომბის სიტყვასთან ერთად გაკრული იქნება მთელ საფრანგეთში აგრეთვე პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც იგი ნდობას უცხადებს სამინისტროს, და გვარები მომხრე და მოწინააღმდეგე დეპუტატებისა. გვარების გამოქვეყნება საზოგადოთ არ არის ხოლმე მიღებული, მაგრამ ამით სურთ ქვეყანამ გაიგოს, ვინ არის რესპუბლიკელი და ვინ მისი მტერი.

ესპანია. დიდი გაჭირვება მეფობს სოფლების მუშათა შორის ანდალუზიაში. ერთი მინისტრი ამ მდგომარეობას თურმე სოფლის დიდ მემამულეებს აბრალებს. მისი სიტყვით, ანდალუზიაში მთელი მიწა ცხრა მებატონეს ეკუთვნის; როდესაც რომელიმე მამული გასაყიდად გამოცხადდება, ეს მაგნატები, რა ფასიც უნდა ღირდეს, მაშინვე ყიდულობენ, რომ სხვა მემამულე არ შემოუშვან ანდალუზიაში. ისინი სრული ბატონები არიან მთელს მხარეში და რადგანაც უკვე დიდი ხანია რაღაც სინდიკატის მსგავსს წარმოადგენენ, ამ დიდ მემამულეებს შეუძლიათ ისეთი მუშის ფასი განაწესონ, როგორიც ჰსურთ; გარდა ამისა, ისინი უარსა ჰყოფენ ყოველ გაუმჯობესების შემოღებას სამეურნეო ტეხნიკაში. ეს არის მიზეზი, რომ ანდალუზიაში სად არის, სად არა აღელვება იფეთქებს ხოლმე, რომელმაც დღეს ასეთი მძიმე ხასიათი მიიღო. გაჭირვების შესამსუბუქებლად სამინისტრომ შეიმუშავა სამეურნეო ბანკებისა და სკოლების პროექტები, აგრეთვე მორწყვის ახალი სისტემისა და სხ., მაგრამ საღზვარ-გარეთ ეჭვობენ, რომ მოკლე მომავალში შესაძლებელი იყოს ყველა ამის განხორციელება.

ახალი ამბავი

✦ ივლისის დამლევს სამსახურის საქმეების გამო **ტფილისში ჩამოვა** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის დირექტორი.

✦ საქართველოს ეგზარხოსი გუშინ გაემგზავრა დუშეთის მაზრაში იქაურ **ეკლესიების და სასულიერო სასწავლებლების სარევიზიოდ**.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსის თანაშემწე ინჟენერი **ი. ნ. შაიკევიჩი** პეტერბურგიდან ტფილისში დაბრუნდა.

✦ ტფილისის გუბერნიის საქარხნო საქმეთა საკრებულოს დადგენილებით, ტფილისის ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში **საქარხნო წესების შემოღება** დასრულდება 15 ენკენისთვისათვის. ჯერ-ჯერობით საქარხნო წესები შემოიღეს ქალაქ ტფილისის 65 ქარხანაში. ეს წესები შემოღებული იქმნება ისეთ ქარხნებშიაც, სადაც ხუთ მუშასა, ან ხელოსანზე ნაკლები არ არის.

✦ როგორც შევიტყეთ, ქუთაისისა და შავის-ზღვის პირის გუბერნიების საქარხნო საქმეთა საკრებულოს აქამდე **არ შემოუღია წესები ქარხნებსა და ფაბრიკებში**. დღემდე საკრებულოს არც ერთი სხდომა არა ჰქონია თურმე. შემოდგომიდან ჰფიქრობენ წესების შემოღებას და საქარხნო ინსპექციაც მაშინ შეუდგება მოქმედებას.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა შტატები სამის დასისა, რომელთაც **სახელმწიფო გლეხების ეკონომ-მდგომარეობის მოწყობა** აქვთ მინდობილი. მუშაობას ეს დასები დაუყოვნებლივ შეუდგებიან ჯერ იმ გუბერნიებში, სადაც მიწები გამიჯვნულია—ტფილისისა, ერევნისა და განჯისაში, ხოლო შემდეგ—სხვა გუბერნიებში. საბოლოო ინსტრუქციას ამ დასთა სახელმძღვანელოდ სამინისტრო დაამტკიცებს მომავალ წლის პირველ იანვარს, მანამდე კი დასებმა დროებით ინსტრუქციით უნდა იხელმძღვანელონ.

✦ რადგანაც გლეხნი ვერ უძლვებიან სკოლის შესანახ ყოველგვარ ხარჯს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა საერო განათლების სამინისტროს წინაშე **სკოლების დასაარსებელ თანხის გადიდების შესახებ**.

✦ **ტფილისში განუზრახავთ დაარსონ არტელი**, რომელმაც უნდა განაგოს ყოველგვარი კასსები და საწყობები. არტელი პაებით იქნება; თითო პაი ეღირება 700 მანეთი. პროექტით უნდა შეჰკრიბონ 17500 მანეთი.

✦ ტფილისის გუბერნატორის, ბ-ნ სვეჩინის განკარგულებით, დღეს, 7 ივლისს, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება საზოგადო **კრება** ტფილისის ხელოსანთა საზოგადოების დეპუტატებისა. ამ კრებაზე უნდა ამოირჩიონ სარევიზიო კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს საზოგადოების საქმეები, შეამოწმოს ფულის ანგარიში და საზოგადოდ გასინჯოს და შეამოწმოს ყველა ის, რაც მოურავად ნამყოფის კარაპეტ სერობიანცის სამის წლის სამსახურის დროს გაკეთდა.

✦ რადგანაც 17,600 მან., რომელიც ერობისაგან გადადებულია ტფილისის გუბერნიის სამრევლო-საეკკლესო სკოლების შესანახად, **არ ანდის ხარჯს**, სასულიერო წოდება თხოულობს, რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების შესანახად ყოველ წლივ ეძლეოდეს 26,000 მან.

✦ ამას წინად ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, **სომეხ-გრიგორიანთა პირველ დაწყებით სკოლებს** ტფილისში შემწეობა აღმოუჩინოს. ქალაქის გამგეობისა და სასწავლებელთა გამგე კომისიის შეერთებულმა სხდომამ განიხილა ამ დღეებში ეს თხოვნა და გადასწყვიტა აღნიშნულ სკოლებს მიმდინარე წლისათვის 750 მან. დაუნიშნოს.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქს დიდი ყურადღება მიუქცევია კავკასიაში **სამრეწველო სკოლების დაარსებისათვის**.

✦ ქალაქის გამგეობაში დამზადებულია საარჩევანო სიები. ამ სიებიდან სჩანს, რომ **ყველაზე ბევრი ამომრჩეველი** მესამე საარჩევანო უბანშია. ამ უბანში საარჩევანო ცენზი აქვს, 1047 კაცს, ხოლო სავაჭრო—147.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ დღეებში თავისს რწმუნებულს ბ-ნ მედვედიევს გამოუგზავნა 500 მან. ამ ფულით **თესლეულობა და ნერგები** უნდა შეიძინონ და იაფად დაუთმონ სამინისტროსა და სამრევლო საეკლესიო სკოლებს და სოფლის მასწავლებლებს.

✦ ფინანსთა სამინისტრომ მოსთხოვა ტფილისის გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო უფროსს ინსპექტორს წარადგინოს სამინისტროში მუშებისათვის დაწესებული **ანგარიშის წიგნები**, რომელიც საგუბერნიო საქარხნო საკრებულოსაგან არის დამტკიცებული, და აგრეთვე ქარხნებში არსებულ წეს-წყობილებათა ცნობები.

✦ პარასკევს, 5 ივლისს, შეერთებული სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისს **გუბერნატორის მოწერილობის** განსახილველად. ეს მოწერილობა შეეხება ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტის სასწავლებლის კომისიად გადაკეთებას. სხდომა გაგრძელდა საღამოს 4 საათამდე, მაგრამ საქმე მაინც ვერ გაათავეს და ამიტომ მეორე დღისთვის გადასდეს.

✦ მომავალ კვირას ქალაქის გამგეობისა და მკურნალთა შეერთებული კრება განიხილავს **გუბერნატორის წინადადებას** იმის შესახებ, რომ ქალთა გადამდებ სენით სამკურნალოში ავადმყოფნი წესსა და რიგზედ მოათავსონ, რადგანაც უწესოების გამო ბევრს გადასდებია ავადმყოფობა.

✦ პარასკევს, 5 ივლისს, სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ ტეხნიკოსთა კომისიასთან ერთად დაათვალიერა გადამდებ სენით სამკურნალოების ახლად აგებული ორი შენობა. რადგანაც ახალ შენობებს კედლები ზოგგან დახეთქია და სხვა რიგათაც დაზიანებულა, საბჭომა და ტეხნიკოსებმა საჭიროდ სცნეს რაც შეიძლება მალე შეაკეთდეს შენობები.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლების მოძრაობის უფროსად დაუნიშნავდ **მ. ა. კარპოვი**, რომელიც ამას წინად ამავე გზაზე მოძრაობის უფროსის თანაშემწედ იყო.

✦ როგორც შევიტყეთ, კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის ახლად დანიშნული **დირექტორი** ბ-ნი ტროფიმოვი 12 ივლისს ჩამოვა პეტერბურგიდან ტფილისში.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი ბრომელი, რომელიც **სურამში სანიტარო საქმების** გამო იყო წასული, 5 ივლისს უკვე დაბრუნდა ტფილისში.

✦ დაბა **სამტრედიიდან გვატყობინებენ**: აქ პირველ სექტემბრიდან დაარსდება მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილება, **რომლის** გამგედაც დანიშნულ იქმნა ონის გამომძიებელი ს. კანდელაკი.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ბაქოში საქონლისათვის ცალკე **სადგური** გამართოს და უფროსიც საკუთარი დაუნიშნოს. დღეს საქონლისა და სახალხო სადგური ერთადაა.

✦ „კავკაზ“-ს დეპეშით შემდეგ **ახალ ამბავს** ატყობინებენ პეტერბურგიდან:

კონტრ-ადმირალი სტრინსკი დაინიშნა ფოთის სავაჭრო ნავთ-სადგურის უფროსად.

ტობოლის გუბერნიაში სახაზინო ადგილების მიზომვის საქმის მწარმოებელი ზოლოტარევი დაინიშნა კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თანაშემწედ.

მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი დაინიშნა ამიერ-კავკასიაში სახაზინო ადგილების მიზომვის საქმის უფროს მწარმოებლად.

✦ როგორც ხონიდან გვატყობინებენ, 2 ივლისს დამწვარი **აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა** მ. სანაძისა დაზღვეული ყოფილა „ნადეჟდას“ ამხანაგობაში: სამი სახლი და პარკის სახმობი ფარდული—3000 მანეთად, ხოლო მანქანები 13,000 მანეთად.

✦ მოგვივიდა **შიო არაგვისპირელის თხზულებათა** მეორე წიგნი. ამ წიგნში დაბეჭდილია 18 მოთხრობა, რომელთაგან უმეტესი ნაწილი „ივერია“-ში იყო მოთავსებული. წიგნში 240 გვერდია; ღირს ორი აბაზად.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მატარებლების მოძრაობის უფროსმა შემდეგი ცირკულიარი გამოსცა: „შემჩნეულია, რომ უმეტეს შემთხვევებში მატარებლების და ვაგონების გადმოვარდნა და ლოკომოტივების და ვაგონების დაჯახება სადგურებზე მანევრების დროს შედეგია; პირველს შემთხვევაში იმისი, რომ ისრის ფრთას მაგრა არ მიაკრობენ ხოლმე დედა რელსს, ხოლო მეორეში—ვაგონებს გააცილებენ ხოლმე მაჩვენებელ ბოძებს.

რადგანაც ერთიცა და მეორე შემთხვევაც წარმოსდგება მატარებლების და მანევრების გამგეთა მეტის-მეტი დაუდევრობის გამო, გზათა უფროსის განკარგულების თანახმად, ამ ცირკულიარით ვაფრთხილებთ მოსამსახურეთ, რომ უფრო სასტიკი ზომები იქნება მიღებული დამნაშავეთა დასჯისათვის, უკეთუ განმეორდება ზემოხსენებული შემთხვევები“.

ფელეტონი

წერილი ინგლისიდან

პურის ბაჟი და პროტექციონიზმი.—მილნერი და საკონსტიტუციო უფლებათა გაუქმება კაპის ახალშენში.—გვირგვინის კურთხევა და ხალხის იმედები.

ინგლისის ერთი ნაწილი საპროტექციო სისტემის გაბატონებასაა მოწადინებული. სურვილი ამ სისტემის განხორციელებისა ჯერ-ჯერობით პურის ბაჟის შემოღებით გამოიხატა. გერმანიასა და ამერიკაში მრეწველობა განვითარდაო, ჰფიქრობენ ინგლისის მოღვაწენი, ამისი მიზეზი პროტექციონიზმია, სადამოენო სისტემა, ამიტომ ჩვენც ამავე საშუალებას უნდა მივმართოთ, თუ არ გვინდა ამერიკამა და გერმანიამ სამრეწველო ბრძოლის მოედნიდან გაგვდევნონო.

მართალია, ფინანსთა მინისტრმა ამას წინად განაცხადა: „ჩვენი საგანი პროტექციონიზმის შემოღება კი არა, „საერო ვალის“ გადახდააო“, მაგრამ სახელის გამოცვლით საქმე არ იცვლება, სისტემა სისტემადვე რჩება და მისი შედეგი თავის სიგძე-სიგანით აქაც, როგორც ყველგან სხვაგან, მშიერსა და მწარმოებელს დააწვება კისერზედ. რა არის ეს რაღაც „საერო ვალია?“ ვინ იხდის იმას?.. ჭკუა მოკლე პოლიტიკანების მიერ გაფლანგულს ფულს გადახდა უნდა, რასაკვირველია, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს „საერო ვალის“ არსებობასა და იმის საფუძვლიანობას. მწარმოებელმა აწარმოვა, ერთმა ვიღამაც გაფლანგა და ვალი გააჩინა, აი ამ ვალს ისევ მწარმოებელს ახდევინებენ და ბაჟს ადებენ ისეთ უპირველესს და უსაჭიროესს რამეს, როგორიც პურია. „ქუდის დადება და სამართლის ქმნაც“ ამასა ჰქვიან სწორედ.

ჯონ მორლეიმ 19 ივნისს ახალის ბაჟის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა: მთავრობა ამ ბაჟს თავის დღეში არ შემოიღებდა, რომ სცოდნოდა, რა უბედურება ტრიალებს ირლანდიის დასავლეთ ნაწილშიო. ამ ბაჟის წყალობით მთავრობამ დაადვა $6^{1}/_{2}$ მილიონი შაქარს, 2 მილ.—ჩაის, 2 მილ.—ნახშირს, $2^{1}/_{2}$ მილ.—პურს, სულ 13 მილიონი... „საერო ვალის“ გადასახდელად ამოდენა ფულს აწერს მთავრობა იმ ინგლისელებს, რომელნიც შიმშილსა და წყურვილს ებრძვიან და ამავე დროს გენერალს კიტჩენერს „ყოჩაღობისათვის“ 500,000 მანეთს სთავაზობს...

მაგრამ ინგლისელი ჯერ კიდევ ისე არ დაქვეითებულა, რომ ვერ შესძლოს პროტესტის გამოცხადება თავისს ტრადიციების შელახვის წინააღმდეგ. ძალიან ბევრგან გაიმართა მიტინგი. შესანიშნავი იყო განსაკუთრებით Richard Cobpen's House-ის მიტინგი, Midhurst-ში გამართული. თავმჯდომარეობდა ლორდ უელბი, კობდენის კლუბის პრეზიდენტი. მისალოცი წერილები მოვიდა ლორდ ფერრერისა, ბრაისისა, მაკ-ლარენისა და სხვათაგან. მაკ-ლარენი, სხვათა შორის, სწერდა: „ჩვენ კობდენისა, ჯ. ბრაიტისა და გლადსტონის თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკის წყალობით ყველას წავასწარით სიმდიდრითა და წარმატებით. მაგრამ ეხლა გვაიძულებენ ვუღალატოთ ამ წარმატების გზას და შემოვიღოთ ის ცრუ პოლიტიკა, რომლის მეოხებითაც სხვა ერნი ჩამოგვრჩნენო“.

არც დემოკრატიული პრესსაა ჩუმად. იგი უფრო ხმა მაღლა ჰკიცხავს და ჰგმობს თვითკერძა დეპუტატ-მოღვაწეებს. „განჰქრა დემოკრატიული სული ინგლისშიო, თითქმის ერთხმად გაიძახის ეს პრესსა: ყველას პირზე პროტექციონიზმი, რიჩარდ კობდენი, საპოლიტიკო ეკონომია, საიმპერიო Zollverein-ი აკერია, ხოლო ინგლისის ღარიბ-ღატაკთა და გაჭირვებულთა შესახებ ხმას აღარავინ იღებსო. იმ ვაჟბატონთა $^{9}/_{10}$-ს, რომელნიც კომმუნათა დარბაზში კანონებს ადგენენ, არასოდეს არ უნახავთ მუშის სადგომი: ისინი ვერც კი წარმოიდგენენ იმ შედეგს, რომელიც მოჰყვება მუშის ოჯახისათვის პურის ფასის აწევას. პარლამენტში მყოფმა წარმომადგენელმა არც-კი იცის, რა მდგომარეობაში არიან იმისი ამომრჩეველნი. კონსერვატორები და ჯინგოები ყურსაც არ იბერტყავენ. ამ ვაჟბატონებს ის უნდათ მხოლოდ, რომ დიდ სახელმწიფოსთან სცადონ ღონე, თორემ ორანჟე-ტრანსვაალი ხომ ბუზი იყო და იმასთან შეტაკება არაფრად არა ღირდაო. კონსერვატორთა საუკეთესო წარმომადგენელი ჰოგ სესილი, რომელიც ამასთანავე დახელოვნებული იეზუიტიცაა, უსირცხვილოდ ამბობს, რომ, რადგანაც გაძვირდა, მუშას შეუძლიან ნაკლები პური მიირთვას და მე-

✦ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზე გადასწყვიტა ვერაზე მაჩაბლის სახლში არსებული სკოლა სხვა სახლში გადაიტანოს.

✦ ტფილისის პირველ მომრიგებელ-მოსამართლის კანცელარიის მოხელის პეტრე ტაბლიაშვილის საქმეს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს ამა სექტემბრის 6 ს. ტაბლიაშვილს, როგორც ვიცით, ჰბრალდება მგზ. როდიონოვის ქალის მოკვლის განზრახვა.

✦ ტფილისის სააბრეშუმო სადგურის გამგეს ბ-ნ შავროვს შეუდგენია ახალი წიგნი დედვისა და ქიშმიშის მოყვანის შესახებ. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აღნიშნულ გამოკვლევის გამოსაცემად გადაუდვია 500 მან.

✦ ტფილისის მთავარ-საპყრობილესთან არსებულ საავადმყოფოში წასულ ივნისს პირველ რიცხვისათვის ავადმყოფი იყო მამა-კაცი პატიმართაგანი 70 და დედაკაცი 33, თვის განმავლობაში მიიღეს კიდევ 9 მამაკაცი და 5 დედაკაცი.

✦ ივნისის განმავლობაში ქუჩებზე მაწანწალა ძაღლები დამჭერ მოიჯარადრეს დაუჭერია სულ 311, აქედან 296 ძაღლი მოუკლავთ, ხოლო 15 პატრონებისათვის უკანვე დაუბრუნებიათ.

✦ ქ. ტფილისის პირველ ნაწილში ივნისის განმავლობაში მომკვდარა სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან სულ 71 კაცი, აქედან 47 ბავშვი ყოფილა 15 წლისაზე უმცროსი, 11—50 წლამდე, 13—80 წლამდე.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ „ცნ. ფურც“.-ში აღნიშნული იყო ქუთათურთაგან ზოგიერთების უსიამოვნება ქალაქის არჩევნებისა გამო. არ ისვენებენ ეს ვაჟბატონები და საჩივარს საჩივარზე ჰგზავნიან. ამას წინად ხმოსნების არჩევნები გაასაჩივრეს, ახლა-კი გამგეობის წევრად დ. მდივანის არჩევამ დაუფრთხოთ მოსვენება და, სხვა მიზეზი რომ ვერ იშოვეს ამ არჩევნის გამო, ლობე-ყორეს მოედვნენ და თურმე მთელს გამგეობას ცნობენ უკანონოდ არჩეულად, რადგან თვით ხმოსნების არჩევნებს არ ვცნობთ კანონიერად და ამის გამო საჩივარიც გვაქვს მირთმეულიო.

ამბობენ, უსახელო ქაღალდებიც ბლომად მიუდის თურმე მთავრობას. ადვილად წარმოსადგენია, რა მარგალიტები იქნება ამ ქაღალდებში ანუსხული: ამისთანაებში ხომ ბევრი დახელოვნებული კაცი ჰყავს ქუთაისს და, რა თქმა უნდა, შემთხვევა მიეცათ და თავს სამაგალითოდ ისახელებენ ეს ვაჟბატონები!..

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერი ლისოვსკი ორის თვით სამსახურს დაეთხოვა და ქუთაისიდან წავიდა.

✦ სათავად-აზნაურო სკოლაში ამას წინად მომხდარ ინცინდენტის გამო, როგორც აქ ამბობენ, ლისოვსკის მხოლოდ შენიშვნა მოსვლია მთავრობისაგან...

✦ სექტემბერში ქუთაისში მოელიან იუსტიციის მინისტრს. სამოსამართლოთა ახალ შენობას ამ ჟამად დიდ რემონტს უკეთებენ, უნდათ, ამ სახლის ნაკლი რაც არის, მინისტრის მოსვლამდე შეავსონ. ნაკლი-კი ზოგი შესამჩნევი აქვს ამ შენობას. მაგ.,—ზოგი ოთახი ბნელია და ზოგშიაც ჰაერი ცუდად მუშაობს.

✦ ერთს კვირაზე მეტია იმერეთში გამუდმებული წვიმა მოდის. აგრილდა, მოსავალსაც კარგი პირი მიეცა.

✦ მთავრობას შეუწყნარებია ქუთაისში ადგილობრივ ებრაელთ თვის პირველ-დაწყებით სკოლის დაარსების შესახებ შუამდგომლობა. სკოლას ამ წელსვე დააარსებენ.

რუსეთის ქრონიკა

✦ სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსარკვევად, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მთავრობამ გადასწყვიტა დააარსოს განსაკუთრებული სასოფლო-სამეურნეო კომიტეტები. ამას გარდა, ლაპარაკია თურმე საგუბერნიო საერობო გამგეობათა გაუქმების შესახებ, რათა სამაზრო ერობებს მეტი თავისუფლება მიენიჭოს. მთავრობის აზრით, საგუბერნიო გამგეობა ხელს უშლის სამაზრო გამგეობას. ის, რასაც დღემდე საგუბერნიო გამგეობა აკეთებდა, გუბერნატორს გადაეცემა. საგუბერნიო ერობის გაუქმებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება იმ გუბერნიებისათვის, სადაც ერობაა შემოღებული.

✦ გზათა სამინისტროს შეუდგენია პროექტი სარკინისგზო ახალშენებისა. ამ პროექტის ძალით რკინის გზების გამგეობებს უფლება ექნებათ შეიძინონ ლიანდაგის მახლობლად კერძო კაცთა მიწები და შემდეგ იჯარით მისცენ (12 წლის ვადით) თავისს მოსამსახურეებს. საიჯარო ფასად უნდა გადაიხადონ საჟენში ერთი კაპეიკი. სახლების ასაშენებლად მოსამსახურეებს შეიძლება მიეცეთ სესხი 12 წლის ვადით. სესხი იმდენი უნდა იყოს, რამდენსაც მოსამსახურის ორის წლის ჯამაგირი შეადგენს. 12 წლის შემდეგ, როდესაც ვალი გასტუმრებული იქნება, მოსამსახურემ უნდა იხადოს მხოლოდ საიჯარო ფული ოთხ-კუთხ საჟენში ერთი კაპეიკი.

✦ 1903 წლის 2 იანვარს, 200 წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთში პრესსა არსებობს. ამ დღეს წიგნების მოყვარულთა საზოგადოებას აზრადა აქვს სადღესასწაულო კრება გამართოს სამეცნიერო აკადემიის დარბაზში. ამას გარდა, იუბილეისათვის საზოგადოება გამოსცემს, სხვათა შორის, სურათების კრებულს. ამ კრებულში მოათავსებენ რედაქტორებისა და გამომცემლების სურათებს, აგრეთვე იმ სახლების სურათებს, სადაც გამოცემანია მოთავსებული.

✦ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსკოვს მოხდება ქალაქის ლომბარდების გამგეთა კრება.

მცირე შენიშვნა

გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა თელავის ღარიბი მემამულე ზურაბ ჯორბენაძე და შემდეგი შემოგვჩივლა:

„ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მამული მქონდა დაგირავებული; ჩემი ავლა-დიდება და მარჩენელი ეს მამული-და იყო. გაზეთებში გამოცხადებული ყოფილა მამული იყიდებაო, მაგრამ მე გაზეთებს არ ვკითხულობ და არ ვიცოდი, როდის დაინიშნა გაჭრობა, მხოლოდ წინა დღით მომივიდა ბანკისაგან დეპეშა—მამული ხვალ ჩავარდება გაჭრობაშიო. თავზარ დაცემული მაშინვე შევუდექი საქმეს; აქეთ ვეცი, იქით ვეცი და როგორც იქნა საჭირო ფული ვიშოვე. მივედი ნოტარიუსთან, რჩევა ვთხოვე, მან დამიწერა სანქარო სავალო დეპეშა და მითხრა—ეს დეპეშა გააგზავნე ეხლავ ბანკში; ამით გაიგებენ, რომ ფულს ჰგზავნი და მამულს აღარ გაგიყიდიანო. წავედი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და წარვუდგინე მოხელეს ბ. ხუნდაძეს სავალო დეპეშა; მან ეს დეპეშა უკანვე გადმომიგდო და მითხრა: რა საჭიროა დეპეშის გზავნა; გააგზავნე ფული ტელეგრამით, ბანკი დღესვე მიიღებს და შენი მამულის გაჭრობას შეაჩერებსო. მეც დავიჯერე, მისი რჩევა ავასრულე და დამშვიდებული სახლში დავბრუნდი. მაგრამ მალე უბედური დღე გამოთენდა: მოვიდნენ და გამომიცხადეს—მამული გაგეყიდაო. გაგიჟებული გამოვექანე ტფილისში და აქ გავიგე ნამდვილი, რომ ჩემი მამული გაჭრობაში ჩაუგდიათ და გოგნიაშვილს ეყიდნა. შემდეგ გავიგე, რომ ბანკს ფოსტისაგან ფულის მიღების უწყება მიეღო გაჭრობის დღეს (24 ივნისს) ნაშუადღევის 1 ს. 50 წ.-ზე, მაგრამ ფული ფოსტიდან არ გამოეტანა და საღამოს მამული გაეყიდა... ასე დავიღუპე იმის მიზეზით, რომ ბ. ხუნდაძემ სავალო დეპეშა არ გამაგზავნინა! რა ვქნა ეხლა და რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი?!.“.

საბრალო მემამულე, როგორც ხედავთ, თავის გაუბედურების მიზეზად ხუნდაძესა სთვლის, მაგრამ აქ ეს მოხელე იმდენად არ არის დამნაშავე, რამდენადაც თვით ბანკი, რაზედაც გვინდა მივაქციოთ ბანკისავე ყურადღება... მართალია, მოხელეს ხუნდაძეს ნება არა ჰქონდა დეპეშა არ მიეღო; ზნეობრივი უფლება არა ჰქონდა აგრეთვე თავისი რჩევა მიეცა, როდესაც საქმე რიგიანად არ იცის და როდესაც იმაზე უფრო შეცოდნემ (ნოტარიუსმა) მისცა დარიგება; მაგრამ ბ. ხუნდაძეს, ალბათ, ჰსურდა სამსახური გაეწია ჯორბენაძისათვის, ტყვილა-უბრალოდ ფული არ დაეხარჯვინებია მისთვის მით უმეტეს, რომ დარწმუნებული იყო ბანკი ფულს დროზე მიიღებდა... მართლაც, ფულის უწყება ბანკს ფოსტამ ჩააბარა 24 ივნისს ნაშუადღევის 1 ს. 50 წ.; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბანკისთვის არაფერი ყოფილა: მას ფული არ მიუღია და საღამოს მამული გაუყიდნია... ჰქონდა თუ არა ბანკს უფლება არ მიეღო ფოსტიდან ფული, სწორედ ვაჭრობის დღეს მოსული? ეს საკითხი საინტერესოა იურიდიულად, მაგრამ აქ ამ მხრით საქმეს არ შევეხებით. ჩვენთვის უფრო საინტერესოა ზნეობრივი მხარე. მეტის-მეტი გულცივობა და დაუდევრობა არის ჩვენის აზრით, როდესაც ისეთი საზოგადო დაწესებულება, როგორიც ბანკია, ასე ფორმალურად ეკიდება თავის კლიენტების საქმეს. ჯორბენაძისა და ბევრ სხვათათვისაც მამულის გაყიდვის საქმე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და ბანკი ვალდებულია იმ დღეს მოსული ფული აიღოს, ამგვარად გაიგოს მაინც ვისია და ერთი კაცი გადაარჩინოს გაუბედურებას!.. მივაქცევთ ბანკის ყურადღებას ამ გარემოებას და ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მოვსთხოვოთ მეტი ... გულშემატკივრობა კლიენტებისადმი...

ბ. ჯორბენაძე ჰფიქრობს ყოველი კანონიერი ღონე იხმაროს და მამული დაიბრუნოს. არ ვიცით, როგორ უშველოს თავის საქმეს, მაგრამ გვინდა-კი ბ. გოგნიაშვილს მივმართოთ: ნუ ისარგებლებს საცოდავის კაცის შეუგნებლობითა და შეცდომით და დაუბრუნოს მამული, რომელიც გაიყიდა მხოლოდ უბედურ შემთხვევის მიზეზით.

დაბა-სოფლები

ს. ასკანა. 15 თებერვალს ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საზოგადოებამ არ მიიღო გამგეობის მიერ წარდგენილი 1901 წლის ანგარიში; კრებამ აარჩია სარევიზიო კომისია ანგარიშის გამოსარკვევად და შესასწორებლად. სარევიზიო კომისიას თავისი მოხსენება უნდა წარედგინა კრებისათვის სამ მარტს. ასეც მოხდა. კრებამ სარევიზიო კომისიის ანგარიში დაამტკიცა. საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ სოლომონ ჭეიშვილს, რომელიც 3 მარტის კრებას არ დასწრებია, განუხილავს ეს ანგარიში, შიგ ბევრი შეცდომა აღმოუჩენია და თავისი შენიშვნა ჩაუწერია ოქმის წიგნში, ამასთან უთხოვნია კრება დაენიშნათ იმ საქმეების გამოსარკვევად და შესასწორებლად, რაც 3 მარტის კრებამ მიიღო და დაამტკიცა. რაღაც მიზეზებისა გამო, კრების დანიშვნა დაგვიანდა და მხოლოდ 23 ივნისს მოხდა. ახალ კრებას, სხვათა შორის, უნდა განეხილა და შეესწორებინა 3 მარტის საზოგადო კრების გარდაწყვეტილება და, თუ საჭიროება მოითხოვდა, სრულიად გაეუქმებინა კრების დადგენილებანი. კრებაზე ბ-ნი სოლომონ ჭეიშვილი ამტკიცებდა, რომ ანგარიში სწორად არ არის შედგენილი, რომ სარევიზიო კომისიას არაფერი არ გაუკეთებია, კომისიას უხელმძღვანელია წინა სარევიზიო კომისიის ანგარიშით, იმათი შრომა მიუთვისებია, რომ სამინისტროში ყალბი ანგარიშია წარდგენილი, სარევიზიო კომისიამ კრება შეცდომაში შეიყვანა და სხვა და სხვ. თუმცა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ბანკის მზრუნველი ბოლქვაძე თალაკვაძე ამტკიცებდა, უეჭველად კარგად არის შედგენილიო, მაგრამ კრებამ ს. ჭეიშვილის წინადადება მიიღო და სამის მარტის კრება სრულიად გააუქმა. კრებამ აარჩია ახალი სარევიზიო კომისია, რომელსაც მიანდო 1901 და 1902 წლების ანგარიშების გამორკვევა.

აი, ეს ანგარიშები მოისმინა 30 ივნისის საგანგებო კრებამ. ანგარიშიდანა სჩანს, რომ ამხანაგობას 1901 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 22,252 მ. 28 კ., ხოლო ხარჯი სულ 22,099 მ. 20 კ.—1902 წლის 30 ივნისამდის ამხანაგობის აღებ-მიცემობა ძალიან შეფერხებულია გამგეობის დაუდევრობით. ამხანაგობას 2500 მანეთის დრო-გასული თამასუქები აქვს. გამგეობას წიგნები უხეიროდ უწარმოებია, პირად ანგარიშის წიგნში 1 იანვრიდამ არავითარი წარმოება არ გადაუტანია და სხვა...

კრებამ მოისმინა ეს ანგარიში, მიიღო შეუცვლელად და დაავალა გამგეობას, სარევიზიო კომისიის ანგარიში წარუდგინოს კომიტეტს, ხოლო სამის მარტის კრებაზედ მიღებული ანგარიში, როგორც არა სწორი, უკანვე დაიბრუნოს.

ტი „ვისკი“ დალიოსო. აი რას ქადაგებენ ბ-ნნი კონსერვატორნი!“

ასე სწუხს და გოდებს დემოკრატიული პრესსა. სამწუხაროდ, მათი გოდება რჩება „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა“, რადგანაც ჯერ-ხნობით მოედანზე ჰიქს-ბიჩები და ჰოგ-სეილები იმარჯვებენ! იმათ ხელშია კანონ-მდებლობა, ხოლო ვინც საყოველთაო კანონის წინააღმდეგ წავა, იმისათვის განსაკუთრებული კანონებიც არის შემოღებული.

* * *

ბოლოს დროს ინგლისიც შეეჩვია ამ განსაკუთრებულ კანონებს. როგორც ვუწყით, სხვა ქვეყნებში ამ ნაირი კანონები მთავრობებს უებარ-წამლად მიაჩნიათ, ასე რომ ბევრგან მოძრაობის დროს ეგრედ წოდებულ „საკონსტიტუციო უფლებათა მოსპობა“ თითქმის ჩვეულებად გადაიქცა. აიღეთ მაგალითისათვის ესპანია და მოიგონეთ, ამ რამდენისამე თვის წინად მძლავრ მოძრაობის დროს როგორ გააუქმა მთავრობამ საკონსტიტუციო უფლებანი. ინგლისის სამსახურში მყოფი გერმანელი სატრაპი ლორდ მილნერიც სარგებლობს ამ საშუალებით და სცდილობს კაპის ახალ-შენში იმის მეოხებით წესიერების აღდგენას. 1899 წელს მილნერმა ინგლისის მთავრობის გასამართლებლად გამოსცა პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში იგი სწერდა, რომ ინგლისს არა ჰსურს ახალშენში მცხოვრებ ბურებს კონსტიტუცია ჩამოართვას, პირ-იქით, იგი ყოველთვის მომხრე იყო და არის თავისუფლებისა და ერთა თანასწორობისაო. აი ამ სიტყვების მქადაგებელი დღეს ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს კაპში წარმომადგენლობით ფორმის მოსასპობად.

კაპის ახალშენში სცხოვრობს 300,000 ჰოლლანდიელი და 200,000 ბრიტანელი. როგორ უნდა იბატონოს უმცირესობამ უმრავლესობაზედ? ხომ ძნელი მოსახერხებელია, მკითხველო, მაგრამ ლორდ მილნერი მაინც სცდილობს ამ უცნაურ სასწაულის მოხდენას. იგი ათას გეგმას ადგენს და ამ სამარცხვინო გეგმებს კაპის პრესსის წყალობით აქვეყნებს. „მოდი და ნუ გაგიკვირდება, გაიძახიან დემოკრატნი: ჩვენ კონსტიტუციას ვანიჭებთ დამარცხებულ ბოერებს და ამავე დროს ვართმევთ საკუთარ ქვეშევრდომებსაო!“

ჩვენის აზრით, საკონსტიტუციო უფლებათა მოსპობა მხოლოდ პირველი აქტია სამხრეთ აფრიკის ახალშენთა ბრძოლისა. თანამედროვე ტენდენცია დეცენტრალიზაციისაკენ არის მიმართული. რაც უფრო ადვილად შეუძლიან რომელსამე კუთხეს თავისს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მით უფრო საჭიროებს იგი თავისუფლებას. მიზეზი ბოერების თავ-განწირულ ბრძოლისაც ეს იყო სწორედ: იმათი სახელმწიფო წეს-წყობილება რთული და დახლართული არ იყო; უბრალო გლეხნი, რომელთა „ეკონომიური ინტერესებიც“ რესპუბლიკებს არა სცილდებოდა, თავიანთ თავს ყველაფერში უძლვებოდნენ; ომშიაც იგივე ჰქმნეს, მაგრამ ძალ-მომრეობამ და მრავალ-რიცხოვანებამ თავისი გაიტანა...

* * *

გაზეთებიდან უკვე უწყით უთუოდ, რომ 26 ივნისს მეფე ედვარდ მე-VII-ის გვირგვინის კურთხევა უნდა მომხდარ. მაგრამ იმის ავადმყოფობის გამო გადაიდვა. დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა ამ დღისთვის ლონდონს. აუარებელი ფული დაიხარჯა. ისეთი დიდი მზადება იყო, რომ კაცს თავ ზარსა სცემდა მოძრაობა, ამ სამზადისის წყალობით გამოწვეული. როგორც გამოიანგარიშეს, გვირგვინის კურთხევის ღამეს 100,000-მდე კაცი უნდა დარჩენილიყო გარედ ადგილის უქონლობისა გამო. მაგრამ... გაუცრუვდათ იმედი ინგლისელებს. მეფე ავად გაუხდათ. ინგლისის გამოჩენილმა ქირურგებმა ოპერაცია გაუკეთეს მეფეს და გვირგვინის კურთხევა გადაიდვა. უავგუსტოესი სტუმრებიც შინისაკენ გაემგზავრნენ. პრესსა სავსეა მეფის ავადმყოფობის ამბებით.

ხალხი ისე დაინტერესებული იყო ამ სანატრელ დღესასწაულით, ისეთი იმედები ჰქონდა ყველას, რომ სოციალ-დემოკრატებმაც-კი, თავიანთ გაზეთ zustce-ში ღია წერილით მიჰმართეს მეფეს. „იმედია, სწერდნენ ისინი, თქვენი უდიდებულესობა ყურადღებას მიაქცევს ინდოეთში საშინელ შიმშილს, რომელიც დრო-გამოშვებით ეწვევა ხოლმე ამ ქვეყანას, ხოლო ინგლისში სიღატაკეს, რომელიც დღითი-დღე იზრდება; მიხვდება აგრეთვე თქვენი უდიდებულესობა, რომ იმპერიალიზმი ხელს შეუწყობს და უფრო გააძლიერებს ამ საშინელ უბედურებას, ამიტომ, იმედია, რომ ყოველის ღონით ეცდებით ბოლო მოუღოთ ინგლისის თანამედროვე პოლიტიკაში ამ არა სასურველ მიმართულებასაო“.

ფემზის-პირელი.

შემდეგ გამგეობის წევრთა ანგარიში უნდა შიმოწმდარიყო. ბევრის არეულობისა და ყაი-ყაყანის შემდეგ გამგეობის წევრებად აირჩიეს: მიხეილ შარაშიძე, მანასე ჯაველიძე და პეტრე თალაკვაძე. საბჭოს წევრებად—გალერიანე ჯაველიძე, ანტონ ჩხაიძე, ალ. სიამაიშვილი, მიხეილ შენგელიძე და მოსე ნინიძე.

ბანკის მზრუნველად არავინ არ აირჩიეს.

წერილი ჩხარიდან

(აქაური სომხები.—სკოლა.—ბაზრობა.—ქურდობა.)

ჩვენი პატარა დაბა განთქმულია ვაჭრობით. ჩხარში სამასამდე ვაჭარი იქნება. უმეტესობას სომხობა შეადგენს, სომხები ძველის დროიდან გადმოსახლებულნი არიან ტფილისის გუბერნიიდან. მათ წინაპრებს, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოწმობს, თან წამოუღიათ იმერეთში წმიდის გიორგის ჯვარი, რომელიც სიმაღლით ორ-არშინ ნახევარი იქნება. ეს ჯვარი მოვერცხლული და ძვირფასის თვლებით შემკულია. რადგანაც საკუთარი ეკკლესია არა ჰქონიათ იმ ხანათ, ჯვარი დაუსვენებიათ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში, სადაც დღესაც არის. ამ ჯვარს სომხები თავის „პატრონს“ ეძახიან და დიდძალ შეწირულებას უძღვნიან ეკკლესიას. ძველადვე სომხებს შეუძენიათ აქ ადგილები, გაუშენებიათ ვენახები, გაუმართავთ დუქნები და სახლები და ამ რიგად ძველადვე შესთვისებიან, შეხორცებიან და დაჰკავშირებიან მართლ-მადიდებელთ. გარეგნობით ვერასოდეს ვერ გაარჩევს კაცი აქაურ სომეხსა და ქართველს.

სწავლა-განათლების საქმე ძლიერ დაქვეითებულია ჩვენში. დიდი ხანია ერთად-ერთი სკოლა არსებობს აქა, მაგრამ იმასაც არავითარი წარმატება არ ეტყობა. რაც წინად ყოფილა, დღესაც ის არის. ეხლა ლაპარაკი აძრეს ორ-კლასიან სკოლის დაარსების შესახებ. ამ საქმის გამო რამდენჯერმე იყო ჩხარში მაზრის სკოლების მეთვალყურე, მაგრამ საქმე მაინც ვერ დაგვირგვინდა.

ჩხარში ყოველ პარასკეობით ბაზრობა იმართება, მაგრამ, რა გამოვიდა: თუ წვიმაა—ტალახი დაგახრჩობთ, თუ კარგი ამინდია—მტვერი. ამას გარდა, ბაზრობის დროს არავითარი რიგი და წესი არ არის.

ქურდობა ძალიანაა ჩვენსკენ გავრცელებული. იპარავენ სიმინდს, ცხენებს და სხვას.

ამ დღეებში ერთმა აქაურმა აზნაურმა გაჰყიდა ცხენი (თურმე ნაპარავი ყოფილა). მეორე ღამეს ჩუმად მიეპარა აზნაური გაყიდულს ცხენს და ყელი გამოსჭრა.

ამას წინად ცეცხლი გაჩნდა ბაზარში და ორმოცი დუქანი დაიწვა. დიდი ზარალი მოუვიდათ აქაურს ვაჭრებს. დახმარების ნაცვლად კარში გამოტანილი საქონელი დაიტაცეს და დამალეს ყანებსა და ვენახებში.

ნ. ა.

უცხოეთის წვრილი ამბები

გაქცეულიდან გაქცეული დასჯილები. ამ რამდენიმე ხნის წინად ნიდერლანდის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ სუმატრიდან ნერუკში გადაეყვანათ ორასი დასჯილი დამნაშავე, რომელთაც სამუდამო კატორღა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ნერუკში დასჯილნი ღამე დამწყვდეულები იყვნენ კარვებში, რომელთაც გარშემო რკინის ეკლიანი ღობე ერტყათ, ამასთან მათ დარაჯობდენ ჯარის კაცები.

ერთხელ, ბნელს წყვდიად ღამეში, ტუსაღები უცბად თავს დაეცნენ თავის დარაჯებს, ამოხოცეს ისინი და შუაგულ კუნძულისკენ გაიქცნენ.

იმათ უკან გამოუყენეს რამდენიმე რაზმი ჯარისა, მაგრამ ისინი ხელ-ცარიელნი დაბრუნდნენ, ერთი ტუსაღიც ვერ დაიჭირეს.

მხოლოდ ეხლა გაიგეს, რომ გაქცეული ტუსაღები ხელში ჩავარდნიათ ადგილობრივ ველურ ხალხს. კუნძულზე ეს ხალხი ცნობილია, როგორც კაცის მჭამლები· ამ ხალხს სახელად ტუგარები ჰქვიან.

რაკი ხელში ჩაუცვივდათ კატორღელები, ტუგარებმა დიდხანს არ შეაქციეს ისინი მუსაიფით: სუყველა ამ ორასს ტუსაღს თავები მოჰკვეთეს და... მადიანად შეექცნენ.

ეხლახან ერთს სოფელში ნახეს სარებზე ჩამოცმული ცამეტი კაცის თავი, როგორც გამარჯვების ნიშანი. ამის გარდა, ორასი კაცისაგან ერთი ჩიჩქნა ხორციც არ დაეტოვებინათ.

* *

გულთ-მიხანი. ქვემო მოყვანილი ამბავი მომხდარა 1870 წელს აღდგომის პირველს დღეს, როდესაც პაპი პიი მეცხრე წმ. პეტრეს რომის ტაძარში ხალხს ლოცავდა საყოველთაოდ.

— ამ დღეს მე ვსადილობდი,—ამბობს ერთი პარიზელი,—კნეინა საინ-ვიტგენშტეინისას; ჩვენთანვე იყო დარბუა, პარიზის არქიეპისკოპოსი და დიდი გამცემი ნაპოლეონ მესამის მოწყალებათა.

ამ დროს კნეინა საინ-ვიტგენშტეინთან სცხოვრობდა ერთი სლავიანი ქალი, რომლის შთამომავლობა, წლოვანება და წარსული ბნელით იყო მოცული, მაგრამ ქალი კი ცნობილი იყო თავის უბიწო ყოფა-ქცევით და კარგის განათლებით. ამ ქალს გულთ-მისნობის ხმა ჰქონდა დავარდნილი.

სადილს შემდეგ ყველა სტუმრები წავიდნენ, დავრჩით კნეინა, არქიეპისკოპოსი და მე. არქიეპისკოპოსმა მოინდომა, რამდენიმე კითხვა მიეცა გულთმინისთვის, რომელსაც მეორე ოთახში ეძინა.

პირველად ჰკითხა, მიიღო თუ არა იმან რომის მღვდელმთავრისაგან კურთხევა წმ. პეტრეს მოედანზე.

რადგანაც ქალმა კითხვაზე პასუხი არ გასცა, კნეინამ ხელი დაუჭირა იმას და ჩაციებით მოსთხოვა პასუხი. რამდენიმე წუთი სიჩუმე იყო. შემდეგ გულთმისანმა ღრმად ამოიოხრა.

— რა დაგემართათ, ჰკითხა კნეინამ, სტირით?

— მე ვსტირი ქრისტეს ეკკლესიისათვის, რადგანაც რაც დღეს მოხდა, ის თავის დღეში არ განმეორდება.

— მითომ რატომა?

— მე არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს თავის დღეში აღარ მოხდება. ყველა ეს გულთმისანმა თავის ენაზე წარმოსთქვა, და კნეინამ ჩვენ გადაგვითარგმნა.

მაშინ არქიეპისკოპოსმა დაუჭირა ხელი და ელოდა, რას იტყოდა ის, თითონ კი ხმა არ გაუცია.

უცბათ შიშით შეჰკივლა ქალმა, არქიეპისკოპოსის ხელი იქით განაგდო, მერე ისევ დაუჭირა იმას ხელი, გაბედულად დაიწყო ლაპარაკი და ბოლოს მოჰყვა ქვითინს.

კნეინა პირველივე სიტყვების შემდეგ გაფითრდა და შეჰკივლა:

— ოო, ეს სისულელეა!

არქიეპისკოპოსმა სთხოვა კნეინას, გადაეთარგმნა ქალის სიტყვები და იმანაც უნებლიეთ გადაუთარგმნა:

— ეს ამბობს, რომ თქვენ მოგკლავენ! თქვენ უკანონოდ გაგასამართლებენ, და მოკვდებით, როგორც წამებული. ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ არქიეპისკოპოსმა მშვიდად სთქვა:

— თუ უფალი ძომივლინებს უშიშარ სიკვდილს, ეს საუკეთესო ბოლო იქნება ეპისკოპოსისათვის.

როგორც ვიცით, არქიეპისკოპოსი დარბუა კომმუნისტებმა დახვრიტეს.

* *

მაღლის ბილეთი. ძალიან საფრთხილოა რკინის გზის ბილეთების ყიდვა იმ პირთაგან, რომლებიც სადგურებზე დაძვრებიან და მითომ იაფად ჰყიდიან ბილეთებს.

ამისთანა პირნი გარწმუნებენ, რომ ბილეთი აიღეს და რადგანაც სხვა და სხვა გარემოების გამო წასვლა არ შეუძლიანთ, იაფად ჰყიდიან, რომ ფული სრულიად არ დაეკარგოთ.

ამ დღეებში პარიზში შემდეგი სასაცილო ამბავი მოხდა.

ერთმა კარგად ჩაცმულმა კაცმა დაიგვიანა და როდესაც კასასთან მიირბინა ბილეთის სასყიდლად, კასა დაკეტილი დახვდა.

ამ დროს იმას მიუახლოვდა ერთი მგზავრი და უთხრა, რომ ეს არის ეხლა აიღო ბილეთი რუანში წასასვლელად, მაგრამ საჭირო საქმეები გამოუჩნდა და ვერ მიდის.

— თქვენ, მგონია, რუანში მიდიხართ, აი ბილეთი, მე იაფად დაგითმობთ, ვიდრე ესა ღირს.

— პირველი კლასის ბილეთია?

— არა, მეორესი.

— რა გაეწყობა, მომეცით.

მგზავრს უხარიან, რომ ბილეთი იშოვა, გაექანა და მიმავალი მატარებლის ვაგონში შეხტა და დივანზე გამოიჭიმა არხეინად.

პირველ სადგურზევე ჩამოიარეს ბილეთების შესამოწმებლად. ჩვენმა მგზავრმაც გადასცა კონტროლიერს თავისი ბილეთი; კონტროლიერმა გაკვირვებით დაუწყო ბილეთს შინჯვა.

— თქვენი ბილეთიც მიბოძეთ.

— როგორც თუ ჩემი ბილეთიც?

— მე მგონია, არ ისურვებთ თქვენ ამ ბილეთით მოგზაურობასა?

— მითომ რატომაო?

— ეს ხომ „ძაღლის“ ბილეთია!

— !?.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ივლისი

პეტერბურგი. ხუთ ივლისს დიდი ჰერცოგი ოლდენბურგისა მეუღლით, დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ანდრია ვლადიმირის ძე პეტერბურგში მივიდნენ შუადღის თორმეტ საათზე; ნავსადგურზე იმათ მიეგებათ დიდი მთავარი ალექსეი ალექსანდრეს ძე. იახტა „სტრელნას“ დათვალიერების შემდეგ, გემით „კიტით“ გადავიდნენ დიდი ჰერცოგის იახტაზე, სადაც მომზადებული იყო საუზმე; საუზმეზე მიიწვიეს დიდი ჰერცოგის მხლებელნი, გერმანიის ელჩი საელჩოს მოხელეებით და გერმანიის სამოსწავლო გემის „შარლოტა“-ს უფროსი. 2 საათსა და 40 წამზე იახტა ზღვაში გავიდა.

ვერჟბოლოვო. იტალიის მეფე დაბრუნდა საზღვარ-გარედ.

ლონდონი. ოფიციალურად. გვირგვინის კურთხევა დანიშნულია შაბათს, 27 ივლისისათვის (13 ივლისს).

პეკინი. იუანშიკაიმ და გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადსწყვიტეს მიიღონ ტიანძინის დაბრუნების პირობები, უკეთუ ქვრივი დედოფალი თანახმა იქნება.

პარიზი. „ეკო დე პარი“ იუწყება, რომ ლუბე ალჟირიდან დაბრუნებისას, მომავალ წლის გაზაფხულზე, დაათვალიერებს იტალიის ნავთსადგურს და ნახავს იტალიის მეფეს. იტალიის მეფე სამაგიეროდ ვიზიტს გადუხდის პარიზში.

ბრიუსელი. სომხების შესახები კონგრესი დაიწყო. თავმჯდომარემ იმედი გამოსთქვა, რომ კონგრესი დაიყოლიებს მთავრობათ შეეწეოდნენ ლის სომხების დასაცავად· გაზეთ „პრო არმენია“-ს რედაქტორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ გუბერნატორი ნეიტრალურ ევროპიელთაგან დაინიშნოს. ბოლოს დაადგინეს, დაარსონ კომისია, რათა კონგრესს წარუდგინოს პრაქტიკული პროექტები.

ლონდონი. როგორც ხმა დადის, ფლოტის დათვალიერება სამს (16) აგვისტოს მოხდება.

ვენა. შვიდ (20) ივლისისათვის მოწვეულია ავსტრ-უნგრეთის სადამოყნო-სავაჭრო კონფერენცია. ამბობენ, რომ დიდ საქმეებს გაარჩევსო.

კავკაი. უშველებელი ყინული მოკვა და სოფელ ტმენიკაუსკენ მოცურავს. დაიღუპა 1,500 ცხვარი და 70 ცხენი. ამბობენ, ხალხიც იმსხვერპლაო.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი კასპი—ვოლგის თევზებით და ზღვის ღორებით ვაჭრობის წესების დამტკიცების შესახებ.—დღეს დიდძალ ხალხის თანადასწრებით დიდის ამბით დაასაფლავეს ებრაელთა სასაფლაოზე მექანდაკის ანტოკოლსკის გვამი. დაესწრნენ ხელოვნებათა აკადემიის წარმომადგენელნი, მხატვრები, ლიტერატორები და ნათიეს გქილთა დეპუტაცია. საფლავზე სიტყვა წარმოსთქვეს გრაფ ტოლსტოიმ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სტასოვმა, კუინჯიმა, პოლიაკმა, გრუზენბერგმა, მამონტოვმა, გინცბურგმა, გოროდეცკიმ და სილჩევსკიმ. თრმოც-და-ათ გვირგვინზე მეტი დასდეს საფლავს.

6 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში გამოცხადებულია ვექსილის ახალი წესი.—შავჭირთან მებრძოლი კომისია უცხადებს: „ივნისში ასტრახანის გუბერნიის ყირგიზთა სოფელს ოტკუდასში ბეკთასოვის ოჯახში ექვსი შემთხვევა იყო გადამდებ სენით ავადმყოფობისა, რასაც ყველას სიკვდილი მოჰყვა. ექიმებმა ეჭვი აიღეს შავი-ჭირიაო, და ბეკთასოვის და მისი მეზობლების კარვები გააფორეს ერთმანეთს და დეზინფექცია მოახდინეს; 25 ივნისიდან ავად აღარავინ გამხდარა.

28 ივნისს ადესის საქალაქო საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ებრაელი, გვარად ლინდინი შავი-ჭირის ნიშნებით; ავადმყოფის სადგომსა და მის ავეჯს დეზინფექცია გაუკეთეს, ხოლო მის მახლობელთ თვალ ყურს ადევნებენ. 22 ივნისს ებრაელთა საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ქართველი, აგრეთვე საეჭვო ნიშნებით; არც ერთი ამ ავადმყოფთაგანი ერთმანეთს არ იცნობენ და არც ადესიდან გასულან სადმე უკანასკნელს წლებში; ორივე რჩება. შემდეგ ადესაში აღარავინ გამხდარა ავად“.

კონსტანტინეპოლი. ჩერნოგორიის ელჩმა გამოუცხადა ოსმალეთის მთავრობას, რომ ოსმალეთის ჯარებმა ხალდი-ფაშის ბრძანებით ჩერნოგორელებს თოფები დაუშინეს მოკრი პლანინზე სადავო ადგილში გულიკთან; მოჰკლეს 2 და დასჭრეს რამდენიმე კაცი; თუ ამის შესახებ სასტიკი განკარგულება არ მოახდინა ოსმალეთმა, ჩერნოგორია პასუხს გასცემს.

ლონდონი. მეფე თან-და-თან უკეთ ჰხდება; უმეტეს ნაწილად პალუბაზე ზის სავარძელში.

ჩერნოვიცი. დღეს სეიმში პირველად მოვიდნენ ის რუსინები, რომელნიც 8 ივნისიდან მონაწილეობას არ იღებდნენ სხდომებში. რუსინების მამასახლისმა გამოაცხადა, რომ ისინი იძულებულნი არიან სასტიკად იბრძოლონ.

ბომბეი. „ტაიმს“-ი იტყობინება, რომ ბენდერ-აბასში 9 ივლისს საშინელი მიწის ძვრა მოხდა; ყველა უმთავრესი შენობა დაიქცა, ერთი მკვიდრი მოკლულია. 10 ივლისს მიწა ისევ იძრა; როგორც სჩანს, მიწის ძვრა კუნძულ კიშმის მხარიდან არის; ბენდერ-აბასში საშინელი გუგუნი ისმის კიშმის მხარიდან. ფიქრობენ, იქ დიდი მიწის ძვრა უნდა ყოფილიყოს.

ათინა. დიდის ამბით დაასაფლავეს მიტროპოლიტი პროკოფი. დასაფლავებას დაესწრო მეფე და დედოფალი.

მოსკოვი. არხიტექტურის და ხელოვნურ მრეწველობის გამოფენა გაიხსნება პირველ ნოემბერს და დაიხურება პირველ მარტს.

პეტერბურგის ბირჟა 5 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99⅛ „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358¼ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	292 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅞ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	172½ „

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37,50 ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (ხანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ჩვენის უპატივცემულესი თავადი „აკაკის კრებულის“ შემწეობით, **მე გამოვცემ ქართული კილო ოთახების მხატვრობისა**; ვღებავ აგრეთვე შენობის ყოველ ნაწილს მკვიდრი ზეთის წამლებით.

მხატვარი ლუკა ხიმშიაშვილი. ოლღას და მოსკოვის ქუჩების კუთხე, გაზეთით მოვაჭრე ნიკო ბუხურაშვილთან.

ბახვის მომხმარებელ საზოგადოების

გამგეობა

აუწყებს პატივცემულ მოაგარაკეთ, რომ 24 ივნისიდან ხსენებულ ამხანაგობას აქვს **ბახმაროზე** ვაჭრობა ყოველგვარი სანოვაგის და სხვა ხორაგეულობისა ზომიერ ფასად. აქვს აგრეთვე თავისი სამზარეულო ღვინით.

(3—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 9 ამა ივლისს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ბეტონის უსუფთაო მილის გაკეთება სიგრძით 115.00 საჟენი და სიგანით 0,42×0,28 საჟ., აწ არსებულიდან მიხაილოვის ქუჩაზე ნოვო-სადოვის ქუჩით ლეიცის სახლამდე.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობები შეუძლია განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(ნ. 3—2)